



# საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

## გ ა ღ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N78/10

2018 წლის 2 ოქტომბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ  
კომისიაში განსახილველ ზოგიერთ განცხადებაზე ინდივიდუალური  
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის  
შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ საჯარო სხდომაზე განიხილა მოქალაქე გ. სადალაშვილის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ მიმართ (№10871/01. 18.09.2018), მოქალაქე ი. თედორაძის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ მიმართ (№11224/01. 24.09.2018), შპს „ბესკ-BKSK LTD“-ს დირექტორის ომიროს ლეფკოპულოს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ (№11349/01. 25.09.2018), მოქალაქე გ. აივაზაშვილის შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიმართ (№11515/01. 26.09.2018) განცხადებების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის ვადის განსაზღვრის საკითხი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებულ განცხადებებთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის საჭიროა განცხადებათა დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და სხვა

მტკიცებულებების შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვა, გამოკვლევა და შეფასება, რაც დამატებით დროს მოითხოვს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლისა და კომისიის 2017 წლის 29 დეკემბრის N54 დადგენილებით დამტკიცებული „სადავო საკითხების განხილვის პროცედურული ქესების“ მე-14 მუხლის საფუძველზე, კომისიამ

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მოქალაქე გ. სადალაშვილის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ (№10871/01. 18.09.2018), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 19 დეკემბერი.
2. მოქალაქე ი. თედორაძის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ (№11224/01. 24.09.2018), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 25 დეკემბერი.
3. შპს „ბქსკ-BKSK LTD“-ს დირექტორის ომიროს ლეფკოპულოს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ (№11349/01. 25.09.2018), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 26 დეკემბერი.
4. მოქალაქე გ. აივაზაშვილის შპს „საქართველოს გაერთიანებული

წყალმომარაგების კომპანიის“ მიმართ (№11515/01. 26.09.2018), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 27 დეკემბერი.

5. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობოს განცხადების წარმდგენ პირებს.
6. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N 6) მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

გოჩა შონია

კომისიის წევრი

დავით ნარმანია

კომისიის წევრი

